



მარბარეტ ტეტჩერი ჩინის ღედი

გიორგი ბადრიძე

ვინც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებს, ეცოდინება, რომ ბოლო წლებში რალაც მნიშვნელოვანი ხდება – გააქტიურდნენ ექსტრემისტული და ტერორისტული დაჯგუფებები, ავტორიტარული რეჟიმები არ ერიდებიან ძალის გამოყენებას როგორც საკუთარ ქვეყნებში, ისე მეზობლებთან, მრავალ დემოკრატიულ ქვეყანაში მიდიან აღმავალი გზით პოპულისტური და ნაციონალისტური ძალები.

ერთი სიტყვით, ცივი ომის დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბებული მსოფლიო ნესრიგი, რომელშიც მრავალმა ერმა მოიპოვა თავისუფლება და დემოკრატია, საფრთხის წინაშეა. ამის უმთავრესი მიზეზი არა ავტორიტარული ქვეყნების ან ექსტრემისტული იდეოლოგიების უპირატესობაა, არამედ დემოკრატიული სამყაროს ლიდერების სისუსტე. დიახ, ეს არა დემოკრატიის, არამედ დემოკრატიული ქვეყნების ლიდერობის კრიზისია.

დღევანდელ მსოფლიოს ისე, როგორც არასდროს, აკლია თავისუფლებისთვის მეზობელი ისეთი ლიდერი, როგორიც ბრიტანეთის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი იყო, რომელმაც მართლაც უნიკალური როლი ითამაშა არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ მსოფლიოს ისტორიაში. უინსტონ ჩერჩილის მსგავსად, ის იმ იშვიათ პოლიტიკურ ლიდერთა შორისაა, ვინც ისტორიის გეზი განსაზღვრა. მისი მოღვაწეობის შედეგად პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში გაჩნდა სიტყვა „ტეტჩერიზმი“, ხოლო 1980-იანი წლების დასაწყისის საბჭოთა გაზეთში პირველად გამოჩენილი მეტსახელი „რკინის ღედი“ სიცოცხლის ბოლომდე შეერჩა. ეს სახელი ტეტჩერმა თავისი მტკიცე მრწამსისა და გაუტყუებელი ხასიათის გამო დაიმკვიდრა, როგორც XX საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა პოლიტიკოსმა და რეფორმატორმა. აქვე უნდა ითქვას, რომ ტეტჩერს როგორც საკუთარ სამშობ-



ლოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც თავყვანისმცემელთა გარდა მრავალრიცხოვანი მოძულებებიც ჰყავდა და მისი პოლიტიკური მემკვიდრეობის საკითხი დღემდე ცხარე დაპირისპირების საგანია. ერთი კი ცხადია – არავინ დავობს ტეტჩერის, როგორც პოლიტიკური მოვლენის, უდიდეს მასშტაბზე.

მარგარეტ ჰილდა რობერტსი (ტეტჩერი მეუღლის გვარია, 1951 წელს მარგარეტი ბიზნესმენ დენის ტეტჩერზე დაქორწინდა და მის გვარზე გადავიდა) დაიბადა 1925 წლის 13 ოქტომბერს ჩრდილო-აღმოსავლეთ ინგლისის პროვინციულ ქალაქ გრენტოპში. ის ღრმად მორწმუნე ქრისტიანულ ოჯახში გაიზარდა, რამაც მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. მამისგან პატარაობიდანვე ისწავლა შრომის ფასი და იმის რწმენა, რომ ადამიანს ყველაფრის მიღწევა შეუძლია, თუკი ცდას არ მოაკლებს.

მარგარეტმა სკოლაშივე გამოავლინა განსაკუთრებული ხასიათი – ბეჯითი სწავლის შედეგად ჯერ სკოლის სტიპენდია მიიღო, ხოლო შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩაირიცხა და იქაც სტიპენდიანტი გახდა. 1947 წელს ტეტჩერმა ქიმიაში წარჩინებით მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი. მან პოლიტიკისადმი ინტერესიც უნივერსიტეტში სწავლისას გამოავლინა, როდესაც ოქსფორდის უნივერსიტეტის კონსერვატორთა ასოციაციის თავმჯდომარე გახდა.

გამორჩეული ნიჭისა და მიზანსწრაფულობის მიუხედავად, ტეტჩერის პოლიტიკური კარიერა დიდი სირთულეებით დაიწყო. ამ დროს საზოგადოება ჯერ არ იყო ბოლომდე შეგუებული ქალთა თანასწო-



რობის იდეას და ახალგაზრდა ქალის პოლიტიკურ ამბიციებს ბევრი საკმაოდ წინააღმდეგობრივად აღიქვამდა. მაგრამ წინააღმდეგობების გადალახვა ტეტჩერის ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი იყო და საკუთარი ხასიათის გარდა ამაში მეუღლის თანადგომაც მნიშვნელოვნად დაეხმარა.

1959 წელს, მრავალი მცდელობის შემდეგ, ის პირველად გახდა პარლამენტის წევრი. ამ დროიდან დაიწყო მარგარეტის პოლიტიკური აღმასვლა და სანამ 1975 წელს კონსერვატიული პარტიის ლიდერი გახდებოდა, განათლების მინისტრად მუშაობდა. სწორედ აქ მოუწია მას პირველი მტკივნეული შეჯახება საზოგადოებრივ აზრთან, როდესაც უკიდურესად არაპოპულარული გადწყვეტილება მიიღო: მან დაწყებით სკოლებში უფასო რძის გაცემა აკრძალა, რასაც საყოველთაო აჟიოტაჟი მოჰყვა. უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ისე მარტივად არ იყო, როგორც მისი ოპონენტები წარმოაჩენდნენ. ტეტჩერს ღრმად სწამდა, რომ საყოველთაო სოციალური დახმარებები არც სასარგებლო იყო და არც სამართლიანი: „უფასო რძე“, რომელსაც მოსწავლეებს ურიგებდნენ, სინამდვილეში გადასახადის გადამხდელის ჯიბიდან ფინანსდებოდა და გამოდიოდა, რომ რძე, რომლის საფასურსაც ღარიბი ოჯახებიც გაიღებდნენ, მდიდრებზეც ნაწილდებოდა. ამ ისტორიამ ტეტჩერის რეპუტაციას ერთი მხრივ ზიანი მიაყენა, მაგრამ ამავე დროს გამოჩნდა, რომ ის იშვიათი პრინციპულობის და ნების მქონე პოლიტიკოსი იყო, რომელიც არ მოერიდებოდა მტკივნეული და არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას, ანუ სწორედ ისეთი იყო, როგორც ისტორიის ყველაზე კრიზისულ დროს სჭირდება ქვეყანას.



1970-იანი წლები ბრიტანეთის ისტორიის ყველაზე ღრმა კრიზისის ხანაა. ოდესღაც ყველა დროის ყველაზე დიდი და ძლევამოსილი ბრიტანული იმპერია უკიდურესად დასუსტებული იყო და უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა. ეს იყო ურთულესი გარდატეხის პერიოდი, როდესაც ტრადიციული კავშირები იმპერიის ყოფილ შემადგენელ ნაწილებთან გაქრა, ხოლო ეკონომიკა ახალ ყაიდაზე ჯერ კიდევ ვერ გადაენწყო. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ წლების განმავლობაში ბრიტანეთი ევროპული თანამეგობრობისა და საერთო ბაზრის (მომავალში ევროკავშირი) მიღმა იყო დარჩენილი. მაშინ, როცა სხვა ევროპული ქვეყნები ინტეგრაციული პროცესების მეშვეობით ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდნენ, 1970-იანი წლებისთვის ბრიტანეთი ეკონომიკურად ევროპის ერთ-ერთ ყველაზე წარუმატებელ ქვეყნად ჩამოყალიბდა. დღეს ეს ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ იმ დროისთვის ქვეყანაში განადგურებული იყო მრავალი წარმოება, ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდებოდათ, „უკმაყოფილების ზამთრად“ წოდებული რამდენიმე თვის განმავლობაში ქუჩები ნაგვით იყო ჩახერგილი და მშრომელთა გაფიცვებიც ყოველდღიურობად ქცეულიყო.





ამას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: ერთი უკვე ვახსენე – ბრიტანეთი 1950-იანი წლებიდან ევროინტეგრაციული პროცესების მიღმა აღმოჩნდა და დაშლის პროცესში მყოფი იმპერიის ნაწილებთან ვაჭრობის იმედად იყო დარჩენილი. მეორე მიზეზი კი ლეიბორისტული მთავრობის მიერ ნაციონალიზაციის პროცესის „გადაძლია-შება“ იყო. მეორე მსოფლიო ომით დაზარალებულ ეკონომიკას მართლაც სჭირდებოდა სახელმწიფოს ჩარევა, მაგრამ ლეიბორისტების მიდგომამ ხშირ შემთხვევაში პრობლემები მხოლოდ გააღრმავა: თუ მრეწველობის ან ბიზნისის რომელიმე დარგი კრიზისს განიცდიდა, მთავრობა მის ნაციონალიზაციას ახდენდა და ასე ხდებოდა ნამგებობანი დარგი მთელი ქვეყნის შესანახი. ლეიბორისტების დროს ნაციონალიზაცია განიცადა ქვანახშირის და ნავთობის მოპოვებამ, რკინიგზამ და ფოსტამ, საავიაციო გადაზიდვებმა და თითქმის ყველა სხვა დიდმა ინდუსტრიამ. შედეგად ბრიტანეთი ნახევრად სოციალისტურ ქვეყნად იქცა, სადაც ეკონომიკას უმეტესად არა კერძო ბიზნესი, არამედ სახელმწიფო მოხელეები მართავდნენ. ამის შედეგი იყო მუდმივი გაფიცვები, მოსახლეობის გაღატაკება და სახელმწიფოს დასუსტება.

სწორედ ეს ვითარება დახვდა მარგარეტ ტეტჩერს, როდესაც მისი ლიდერობით 1979 წელს კონსერვატიულმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნები მოიგო და ბრიტანეთს პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი მოეწვინა. ტეტჩერის გეგმა ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად რადიკალური აღმოჩნდა. პრემიერ-მინისტრს ღრმად სწამდა, რომ ბიზნესი და წარმოება ეფექტური მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ მისი წარმატება ან წარუმატებლობა პირდაპირ აისახებოდა მისი მმართველი ადამიანების შემოსავალზე. ამგვარად, ტეტჩერმა პრივატიზაციის ფართომასშტაბიანი პროცესი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო სექტორის მრავალი წარმოება გაიყიდა და კერძო ან სააქციო კომპანიებად გადაიქცა.

ამის საჭიროება ტეტჩერის არაერთ წინამორბედსაც კარგად ესმოდა, მაგრამ სახელმწიფო დოტაციების შეწყვეტას და მასობრივ პრივატიზაციას ყველა ერიდებოდა. მართალია, ხშირ შემთხვევაში პრივატიზაცია მართლაც ერთადერთი გამოსავალია ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად, მაგრამ პირველ ეტაპზე მას ყოველთვის უმუშევრობის ზრდა მოსდევს. უმუშევრობა კი, თუნდაც დროებითი, მომავალ არჩევნებში ხმების მიღებას უშლის ხელს და ამიტომ ძალიან არაპოპულარულ ნაბიჯად მიიჩნევა.

ამრიგად, მარგარეტ ტეტჩერის პრემიერობის პირველი წლები სრულიად კრიტიკული აღმოჩნდა – პრივატიზაციის შედეგად უმუშევრად დარჩენილებმა საპროტესტო ტალღა ააგორეს. ტეტჩერის ადგილას, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, მრავალი სხვა პოლიტიკოსი კომპრომისზე წავიდოდა, მაგრამ ის არ გატყდა და რეფორმები გააგრძელა.





ბრიტანული ოპერატიული დაჯგუფების თავდასხმა ფოლკლენდის კუნძულებსა და სამხრეთ ჯორჯიაზე, 1841

სწორედ ამ დროს, 1841 წელს, ბრიტანეთი და პირადად ტეტჩერი ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. არგენტინის სამხედრო დიქტატორმა, გენერალმა გალტიერომ ბრიტანული კოლონიის – ფოლკლენდის და სამხრეთ ჯორჯიის კუნძულების ოკუპაცია მოახდინა. ამ კუნძულებზე პრეტენზიას არგენტინა მრავალი წლის



ბრიტანეთის სამეფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდი HMS Sheffield, 1982

მანძილზე გამოთქვამდა, იმის მიუხედავად, რომ აქ ბრიტანული კონტროლი ჯერ კიდევ 1841 წელს დამყარდა.

მარგარეტ ტეტჩერის რეაქცია სრულიად კატეგორიული იყო – არაერთი რჩევის მიუხედავად, არ გაეცა სამხედრო პასუხი, მან კუნძულებისკენ ბრიტანული ფლოტი გააგზავნა და იქიდან მტრის უკუგდება უზრძანა. ვითარებას ისიც ამძიმებდა, რომ, შიდა სირთულეების გარდა, ბრიტანეთის მხარეს არც საერთაშორისო თანამეგობრობა იდგა: ქვეყნების ნაწილი მოლაპარაკებებს ემხრობოდა, ნაწილი კი არგენტინას ედგა გვერდით. ტეტჩერმა თავისი მთავრობიდან დაითხოვა დათმობის მომხრე საგარეო მინისტრი და არგენტინასთან ომში ჩაება. ამ ომმა დიდნი-



ლად გადაწყვიტა მისი მთელი შემდგომი პოლიტიკური კარიერა. სამხედრო დამარცხების შემთხვევაში ტეტჩერს შიდაპოლიტიკური მარცხიც გარანტირებული ჰქონდა.

ფოლკლენდის ომში ბრიტანეთის ტრიუმფალურმა გამარჯვებამ ტეტჩერის მომავალი პოლიტიკური გამარჯვებებიც განსაზღვრა. მან ადვილად მოიგო 1983 წლისა და 1987 წლის საპარლამენტო არჩევნები და საშუალება მიეცა გაეგრძელებინა ძირეული რეფორმები.

ტეტჩერის წარმატების მთავარი საიდუმლო იყო არა პოლიტიკის ხელოვნების სიღრმისეული ცოდნა ან ნიჭი, არამედ ის, რომ პოლიტიკაში ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე, საკუთარი მრწამსით და ფასეულობებით ხელმძღვანელობდა. მისთვის მიუღებელი იყო ამ ფასეულობების განირვა პოლიტიკური სარგებელის მიღების სანაცვლოდ და სწორედ ამან განაპირობა როგორც მისი აღმასვლა ბრიტანეთისა და მსოფლიო პოლიტიკის მწვერვალებზე, ისე ძალაუფლების დაკარგვაც, როდესაც ზედიზედ სამ არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, 1990 წელს საკუთარმა თანაგუნდელებმა გადადგომა აიძულეს.


ძნელად წარმოსადგენია სხვა ადამიანი, რომელიც ბრიტანეთის ეკონომიკური და პოლიტიკური უფსკრულიდან გამოსაყვანად ესოდენ მტკიცენეულ და ფუნდამენტურ რეფორმებს

შეეჭიდებოდა. ეს რეფორმები – მასობრივი პრივატიზაცია, სოციალური პროგრამების შეკვეცა და ბევრი სხვა რადიკალური ცვლილება, რომლებსაც „ტეტჩერის რევოლუციას“ უწოდებენ, დღემდე მწვავე დაპირისპირების საგნად რჩება ბრიტანეთში. მემარცხენე ძალებს არ წარმოუდგენიათ ტეტჩერზე უფრო საძულველი პოლიტიკური ფიგურა, ხოლო სხვებისთვის ის სწორედაც რომ გმირია, რომელმაც ქვეყანა სრულ განადგურებას გადაარჩინა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ 1979 წლისთვის, როცა ტეტჩერმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა პირველად მოიპოვა, ბრიტანეთი დიდხნიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსის პირობებში ცხოვრობდა და ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო ყოფნა-არყოფნის საკითხის წინაშე იდგა. 1990 წელს ტეტჩერმა სულ სხვა ბრიტანეთი დატოვა – უფრო დარწმუნებული საკუთარ თავში და ეკონომიკური აღმასვლის გზაზე შემდგარი.

მსოფლიოს ასევე გაუმართლა, რომ გლობალური კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ორ ბუმბერაზ ფიგურას – რონალდ რეიგანს და მარგარეტ ტეტჩერს – ერთდროულად მოუწიათ მოღვაწეობა, რამაც ისინი უახლოეს თანამებრძოლებად და მეგობრებად აქცია. ტრანსატლანტიკური კავშირი და აშშ-ბრიტანეთის „განსაკუთრებული ურთიერთობები“ არასდროს ყოფილა ისეთი მყარი, როგორც იყო რეიგან-ტეტჩერის პარტნიორობის პერიოდში.



რონალდ რეიგანი და მარგარეტ ტეტჩერი, 1979



ფრენსის ფუკუიამა და მისი „ისტორიის დასასრული“

რეიგანის და ტეტჩერის მოღვაწეობის მიწურულს, 1989 წელს, ამერიკელმა მეცნიერმა ფრენსის ფუკუიამამ იმ დროისთვის სენსაციური სათაურის მქონე სტატია გამოაქვეყნა. მას „ისტორიის დასასრული“ ეწოდებოდა. სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნო, რომ სათაურის ბოლოს დასმულია კითხვის ნიშანი. სტატიის შინაარსიც არანაკლებ პრეტენზიულ დებულებას შეიცავდა. მასში ლაპარაკია არა სამყაროს, არამედ ცივი ომის დასასრულზე, როცა ერთმანეთს და-

უპირისპირდა არა მხოლოდ ქვეყნების ორი ჯგუფი, რომლებსაც აშშ და საბჭოთა კავშირი უძღვებოდნენ, არამედ ორი პოლიტიკური სისტემა. ფუკუიამა ამტკიცებდა, რომ დემოკრატია, თავისუფლებაზე, კანონის უზენაესობასა და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემა, საბოლოოდ ამარცხებდა კომუნიზმს – ძალმომრეობასა და მთავრობის მიერ მართულ ეკონომიკაზე დაფუძნებულ სისტემას. ამით უნდა დასრულებულიყო ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი ფაზა. ამის საფუძველს იძლეოდა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს მრავალი ერი, რომელიც საბჭოთა გავლენას ან უშუალო ბატონობას განიცდიდა, გამოხატავდა თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სურვილს.

რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, რომ კომუნიზმი რეიგანმა და ტეტჩერმა მარტომ დაამარცხეს. საბჭოთა კავშირის მარცხი, პირველ რიგში, მისმა პოლიტიკურმა სისტემამ და იდეოლოგიამ განსაზღვრა, რამაც ეს უზარმაზარი იმპერია გაკოტრებამდე მიიყვანა, მაგრამ ტეტჩერისა და რეიგანის გარეშე ეს სისტემა კიდევ დიდხანს იარსებებდა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი დროის გამონგებებს – ექსტრემიზმის, ნაციონალიზმის და პოპულიზმის აღმასვლას – სწორედ მარგარეტ ტეტჩერის მსგავსი ლიდერები დაა-



მარცხებენ, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებისას თავისუფლებისადმი სიყვარულით, მტკიცე პრინციპებით და მრწამსით ხელმძღვანელობენ და არა უახლოესი არჩევნების მოგებისა თუ საკუთარი კეთილდღეობის გაზრდის მიზნით.

სამწუხაროდ, დღეს ასეთი ლიდერების დიდი ნაკლებობაა. ბევრისთვის პოლიტიკა ძალაუფლების მოხვეჭის საშუალებაა და ამისთვის მზა-

დაა ადამიანებს რთული პრობლემებიდან მარტივ გამოსავალს დაჰპირდეს, უთხრას ის, რაც მათ მოეწონებათ, მაგრამ მერე დაპირებები დაივიწყოს.

ნამდვილი ლიდერების როლი კი ისაა, რომ ხალხს სიმართლე უთხრან მაშინაც, როდესაც ის ბევრს არ მოსწონს და სწორი მიმართულებით გაუძღვნენ, როცა იოლი, მაგრამ მცდარი გზა არსებობს.



„პოლიტიკაში თუ გინდა რამე ითქვას – სთხოვე კაცს და თუ გინდა რამე გაკეთდეს – სთხოვე ქალს“.



„ბედნიერებაა არა როცა არაფერს აკეთებ, არამედ როცა მთელი დღე შრომობ, არაქათი გამოგეცლება და მიხვდები, რომ რაღაც კარგი გააკეთე“.



„სიძნელების გარეშე ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევ“.



„ბრბოს კი ნუ გაჰყვები, გაიყოლე!“

Margaret Thatcher

მარგარეტ ტეტჩერი